



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



GEORGIA  
COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.  
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 იანვარი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 5

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად 4 (ოთხი) ერთეულზე მეტი, 2(ორი) პირის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებაზე;

2. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



კორნელი სალია